2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის სხდომის ოქმი N 15

2021 წლის 26 ივლისი, 10:00

ქ. თბილისი, საქართველოს პარლამენტი (ბ კორპუსი, მე-4 სართული ოთახი 410)

სხდომას უძღვებოდა: გივი მიქანაძე

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გივი მიქანაძე, ალუდა ღუდუშაური და ფრიდონ ინჯია

შენიშვნა: საგამოძიებო კომისიის მდივანმა, დავით ზილფიმიანმა ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე ვერ შეძლო სხდომაზე დასწრება. თუმცა, საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარისთვის 2021 წლის 24 ივლისს გაგზავნილი წერილით, დაეთანხმა საგამოძიებო კომისიის მიერ მისაღები დასკვნისა და საქართველოს პარლამენტის მიერ მისაღები დადგენილების პროექტებს (დანართი N1 – 2021 წლის 24 ივლისის 2-10215/21 წერილი).

დღის წესრიგი

- საგამოძიებო კომისიის საქმიანობის შეჯამება და ანალიზი
- საგამოძიებო კომისიის დასკვნის და რეკომენდაციების დამტკიცება
- პარლამენტის დადგენილების პროექტის დამტკიცება

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარემ, გივი მიქანაძემ და საგამოძიებო კომისიას გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები, რის შემდეგაც საგამოძიებო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს დღის წესრიგი.

მომხრე: 3 (სამი) წევრი წინააღმდეგი: 0 (ნული) წევრი

საგამოძიებო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები:

1. მიღებულ იქნა დროებითი საგამოძიებო კომისიის დასკვნა და რეკომენდაციები.

მომხრე: 3 (სამი) წევრი წინააღმდეგი: 0 (ნული) წევრი

2. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 70-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად, მიზანშეწონილად მიჩნეულ იქნა საგამოძიებო კომისიის შემუშავებულ აქტებთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტის მიერ დადგენილების მიღება.

მომხრე: 3 (სამი) წევრი წინააღმდეგი: 0 (ნული) წევრი

3. მიღებულ იქნა საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი

მომხრე: 3 (სამი) წევრი წინააღმდეგი: 0 (ნული) წევრი

გივი მიქანაძე

დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე

2-10215/21
24-07-2021

2020 წლის 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემსწავლელი

საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარეს

ბატონ გივი მიქანაძეს

ბატონო გივი,

მოგახსენებთ, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე ვერ შევძლებ ა/წ 26 ივლისს ჩანიშნულ საგამოძიებო კომისიის სხდომაზე დასწრებას.

ამასთანავე, გავეცანი დასკვნისა და დადგენილების პროექტს და გაცნობებთ, რომ ვეთანხმები და შენიშვნები არ გამაჩნია.

პატივისცემით,

საგამოძიებო კომისიის მდივანი

დავით ზილფიმიანი

პარლამენტის წევრი
დავით ზილფიმიანი